

დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს №382 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 სექტემბრის №მ 33 ბრძანებით, 2020 წლის 4 ნოემბრის №მ 82 ბრძანებით, 2020 წლის -30 დეკემბრის №მ 128 ბრძანებით, 2021 წლის 1 აპრილის №მ 45 ბრძანებით, 2021 წლის 17 მაისის №მ 79 ბრძანებით, 2021 წლის 2 ივლისის №მ 131 ბრძანებით, 2021 წლის 2 აგვისტოს №მ 146 ბრძანებით, 2022 წლის 4 თებერვლის №მ24 ბრძანებით, 2022 წლის 23 ივნისის №მ58 ბრძანებითა და 2023 წლის 6 იანვრის №მ 6 ბრძანებით

## *შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“*

### *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი*

2020 წელი

## სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....	4
მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო) და ერთსაფეხურიან პროგრამებზე .....	4
მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) .....	6
მუხლი 4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა .....	7
მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) .....	8
მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებზე .....	8
მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე .....	9
მუხლი 8. უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა .....	10
მუხლი 9. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია .....	11
მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეჩერება .....	12
მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა .....	13
მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის აღდგენა .....	14
მუხლი 13. დამატებით სემესტრზე და დამატებით სასწავლო კურსებზე რეგისტრაცია .....	14
მუხლი 14. მობილობა .....	15
მუხლი 15. შიდა მობილობა .....	17
მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი .....	18
მუხლი 17. ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარება .....	20
მუხლი 18. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება .....	23
მუხლი 19. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება .....	24
მუხლი 20. სწავლის საფასური .....	24
მუხლი 21. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) .....	25
მუხლი 22. სტუდენტის მიღწევების შეფასება .....	25
მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა .....	28

მუხლი 24. აკადემიური წელი, სემესტრი, კვირა.....	28
მუხლი 25. გამოცდების ჩატარების წესი .....	29
მუხლი 26. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება.....	30
მუხლი 27. კრედიტებთან შეწონილი საშუალო ქულა (GPA).....	30
მუხლი 28. დასკვნითი დებულება .....	31

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - შპს ქუთაისის უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესს წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს, სტუდენტის შეფასების სისტემას, კვალიფიკაციის მინიჭების წესსა და პროცედურებს, ასევე სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
3. უნივერსიტეტში სწავლების ძირითადი ენა არის ქართული, ხოლო სხვა ენაზე სწავლება (უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება), გარდა ცალკეული სასწავლო კურსებისა, ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე.
4. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვაში ჩართული პირები/სტრუქტურული ერთეულები არიან:
  - ა) რექტორი;
  - ბ) ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით/ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით<sup>1</sup>;
  - გ) საგანმანათლებლო ერთეული - ფაკულტეტი;
  - დ) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური;
  - ე) საგამოცდო ცენტრი.

## მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო) და ერთსაფეხურიან პროგრამებზე

1. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი განათლების პირველ (საბაკალავრო) საფეხურზე და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების, მობილობის და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის შესაბამისად.
2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს და რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს

<sup>1</sup> პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ჩანაწერი - „ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით“ ძალადაკარგულია 2021 წლის 1 იანვრიდან.

ქუთაისის უნივერსიტეტში შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

3. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტს რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში.

4. რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ - გვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

5. აბიტურიენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლის ან დოკუმენტის დედანი და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში (ვაჟების შემთხვევაში).

6. რეგისტრაციის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ და დებს მათთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას. რექტორის ერთიანი აქტი გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში

7. აბიტურიენტი, რომელიც არ მიმართვს უნივერსიტეტს რეგისტრაციისთვის გათვალისწინებულ ვადებში უფლებამოსილია, მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის პირველ ივნისამდე. უნივერსიტეტის რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის სამართლებრივი აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

8. აბიტურიენტის რეგისტრაციის გავლის შემდეგ, უნივერსიტეტი უფლებამოსილია უცხო ენის ფლობის დონის განსაზღვრის მიზნით, დააწესოს გამოცდა. გამოცდის/ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი, ხოლო საგამოცდო ნაშრომების გასწორებას/შეფასებას უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის სპეციალისტი/სპეციალისტები<sup>9</sup>. უცხო ენის დონის განსაზღვრა ხორციელდება უნივერსიტეტის „ ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

9. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია - აირჩიოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები. აკადემიური

რეგისტრაციის გავლის მიზნით სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში წარმოადგინოს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტს განესაზღვრა თანხის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი.

### **მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა)**

1. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების, საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ან მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად უნივერსიტეტი ვალდებულია დაადგინოს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა შესაბამის სპეციალობაში. დაწესებულება უფლებამოსილია სავალდებულო გამოცდასთან ერთად კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის დააწესოს დამატებითი გამოცდა/გამოცდები სხვა საგანში/საგნებში.
2. მაგისტრანტობის კანდიდატი ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ გასაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ ზღვარს.
3. სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები უცხო ენის ტესტის დონე დგინდება შესაბამისი სამაგისტრო პროგრამისა და „ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად."
4. საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის გამოცდის/გამოცდების შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს სწავლა განაგრძოს ქუთაისის უნივერსიტეტში შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე..
5. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ქუთაისის უნივერსიტეტში რექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის სამართლებრივი აქტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.
6. უნივერსიტეტი მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის სამართლებრივ აქტს და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდების შედეგებს აქვეყნებს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მაგისტრანტობის კანდიდატის პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვით.



7. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე საპრეტენზიო განცხადებებს განიხილავს ქუთაისის უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ წარდგენილი და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საპრეტენზიო კომისია.
8. მაგისტრანტობის კანდიდატი საპრეტენზიო განაცხადს წარადგენს ქუთაისის უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურში უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში.
9. საპრეტენზიო განცხადებებს განიხილავს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული საპრეტენზიო კომისია, რომელიც არ შეიძლება შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებაში.
10. გამოცდის/ გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, იქმნება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტი. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები წარმატებით ჩააბარა.
11. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტი იქმნება შესაბამის სპეციალობაზე/ სპეციალობების სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა გამოცხადებული ადგილების რაოდენობის, მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული ნორმირებული ქულისა და მის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის ან/ და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის მინიჭებული კოეფიციენტის/ კოეფიციენტების, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, ტესტის ნაწილების ან/ და გამოცდის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

#### **მუხლი 4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა**

1. უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.
3. უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტსა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

4. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება დგება ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის ერთიანი აქტი. რექტორის ერთიანი აქტში მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგ, პირი ხდება ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტი - მაგისტრანტი.

### **მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა)**

უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი და პირობები რეგულირდება ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით.

### **მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებზე.**

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/ კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული



აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. უნივერსიტეტი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით უნივერსიტეტის „ ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად ჩაატაროს გამოცდა და უზრუნველყოს გამოცდის ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ხელმისაწვდომობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

4. უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ვალდებულია მოახდინოს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების ჩარიცხვა ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. უნივერსიტეტის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტი აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

### **მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე**

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო ან ერთსაფეხურიან პროგრამაზე ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე;

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. უნივერსიტეტი - ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა. პირს უცხო ენის დონის განსაზღვრის მიზნით გამოცდა უტარდება უნივერსიტეტის „ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად

2<sup>1</sup>. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირისთვის სამინისტროს სამართლებრივი აქტით სწავლის უფლების მინიჭების შემდეგ, გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად, ჩარიცხვის მსურველი პირისთვის შესაბამის სპეციალობაში გამოცდის ჩატარების პირობების განსაზღვრის შესახებ<sup>2</sup>. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი ჩარიცხვის თაობაზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3. უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ვალდებულია მოახდინოს საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვა ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. უნივერსიტეტის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტი აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

**მუხლი 8. უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა.**

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

<sup>2</sup> ჩარიცხვის მსურველ პირს ინფორმაცია მიეწოდება წერილობითი ფორმით, სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

ბ) მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.

გ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტი/ნიშნების ფურცელი

დ) მიღებული განათლების აღიარების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი.

ე) ფოტო სურათი 3X4 (ელექტრონულად).

ვ) მინდობილი პირის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

ბ) მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.

გ) უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი და დიპლომის დანართი ან განცხადებას დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დ) მიღებული განათლების აღიარების შესახებ - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი.

ე) ფოტო სურათი 3X4 (ელექტრონულად).

ვ) მინდობილი პირის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა.

## **მუხლი 9. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია**

1. ქუთაისის უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენას და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებას. ყოველი სემესტრის დასაწყისში რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია, სასწავლო

პროცესის მართვის ელექტრონული ბაზის საშუალებით აირჩიოს სასწავლო კურსები სემესტრის დაწყებამდე. სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტს არჩეულ კურსებში ცვლილების განსახორციელებლად.

2. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში პირველკურსელთათვის და მობილობის წესით გადმოსული სტუდენტების შემთხვევაში: განცხადებისა და თანდართული საბუთების წარმოდგენას, უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე წესით, საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებასა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, ხოლო აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე წესით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განხორციელებას.

3. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს წინამდებარე წესით განსაზღვრული და მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში საგნებზე რეგისტრაციას რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნულ პერიოდში სტუდენტის მიერ რეგისტრაციის გაუვლელი იწვევს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების, კონკრეტულ საგანზე რეგისტრაციის გაუქმების, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, გადახდილი სწავლის საფასურის უკან დაბრუნების საკითხი რეგულირდება სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

5. აკადემიური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ სტუდენტის სტატუსის აღდგენის (რაც ითვალისწინებს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლას) შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია დარეგისტრირდეს იმ სასწავლო კურსებზე, რომელიც გახსნილია მიმდინარე სემესტრში.

## **მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) სტუდენტსა და დაწესებულებას შორის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების (სწავლის საფასურის გადაუხდელობა) დარღვევა;

ე) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელი;

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად მიიჩნევა უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია;
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე;
5. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.

### **მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

ბ) პირადი განცხადება;

გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

დ) გარდაცვალება ან გარდაცვლილად აღიარება სასამართლოს მიერ;

ე) სტუდენტის მიერ ისეთი დისციპლინური გადაცდომა, რომლისთვისაც უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსით გათვალისწინებულია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

ვ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები:

ა) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან.

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, რაც იწვევს სტუდენტთან დადებული საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტას. აღნიშნული



გარემოება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისგან.

## **მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის აღდგენა**

1. სტატუსშეჩერებული სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი განცხადების საფუძველზე ან/და სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველის აღმოფხვრის შემთხვევაში აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება იმ გარემოების აღმოფხვრის შემდეგ, რამაც გამოიწვია სტუდენტის სტატუსის შეჩერება.
2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა (გარდა სემესტრის განმავლობაში ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზით სტატუსის შეჩერების მიზეზისა<sup>3</sup>) დასაშვებია სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირის ვადაში.

## **მუხლი 13. დამატებით სემესტრზე და დამატებით სასწავლო კურსებზე რეგისტრაცია**

1. სტუდენტმა, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრის/სემესტრების განმავლობაში. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური წლის განმავლობაში განსაზღვროს დამატებითი სემესტრები, დაუშვებელია სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 კრედიტს.
2. სასწავლო კურსით განსაზღვრული კრედიტის საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, შემდეგი ფორმულით: მიმდინარე წლიური გადასახადი იყოფა წლიური კრედიტების რაოდენობაზე - 60-ზე, რის შედეგად მიიღება 1 კრედიტის საფასური, რომელიც მრავლდება კონკრეტული სასწავლო კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობაზე.
3. დამატებით სემესტრზე სტუდენტის რეგისტრაცია ხორციელდება ამ წესით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცედურების შესაბამისად.
4. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით უფლებამოსილია ერთი აკადემიური წლის განმავლობაში დარეგისტრირდეს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებზე 60 კრედიტის ფარგლებში (დასაშვებია, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში

<sup>3</sup> მაგ: თუ სტუდენტს მე-7 კვირას ფინანსური დავალიანების საფუძველზე შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, მე-8 კვირას აღმოფხვრა შეჩერების საფუძველი, მომდევნო კვირებში (მაგ: მე-9, მე-10) უფლებამოსილია აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი.



აღმატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები). დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღმატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

4<sup>1</sup>. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღმატებოდეს 15 კრედიტს.

5. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისთვის სტუდენტი ვალდებულია აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიაროს ამ წესით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცედურების შესაბამისად.

#### მუხლი 14. მობილობა

1. უნივერსიტეტში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადებში და ამ წესის შესაბამისად.

2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

3. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

4. თუ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

5. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის, დგინდება:

ა) დაწესებულებების მიერ მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის მართვის სისტემაში ელექტრონულად წარმოდგენის ვადა;

ბ) მობილობის მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა;

გ) მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულების სამართლებრივი აქტების პროექტების უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვის ვადა. რექტორი შიდა სამართლებრივი აქტით ადგენს ვადას, რომელშიც უნდა განხორციელდეს მობილობის მსურველთა მიერ დოკუმენტაციის უნივერსიტეტში წარმოდგენა. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განაცხადებით უნივერსიტეტს ჩარიცხვის შესახებ, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. უნივერსიტეტი, როგორც მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რეესტრში ასახავს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ამოწმებს ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. ბრძანების პროექტზე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში და ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

7. სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის და რეესტრის მონაცემების საფუძველზე, რექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული

ინფორმაციის ელექტრონული ვერსია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისუფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასწარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში.

8. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებისთვის დაადგინოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა, გასაუბრება ან/და გამოცდა. მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება ამ წესის მე-16 მუხლით გათვალისწინებული განათლების აღიარების/საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის წესის თანახმად.

9. თუ, უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებულ ქვოტაში და ქვოტის ზევით მობილობით სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულმა პირმა, უნივერსიტეტი უტარებს შიდა გამოცდას/გამოცდებს ან/და გასაუბრებას.

### **მუხლი 15. შიდა მობილობა**

1. სტუდენტს უფლება აქვს სწავლის პერიოდში შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა.

2. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტი. შიდა მობილობა ცხადდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს ეძლევა სტუდენტის სტატუსის მოპოვებიდან ერთი სემესტრის დასრულების შემდეგ. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

4. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად.

4<sup>1</sup> შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

5. შიდა მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება ამ წესის მე-16 მუხლით გათვალისწინებული განათლების აღიარების/საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის წესის თანახმად.
6. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი ვალდებულია შიდა მობილობის შედეგები ორი კვირის ვადაში მიაწოდოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.
7. შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტად ფორმდება რექტორის ბრძანებით.
8. უნივერსიტეტი უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით გადმოსვლის მსურველებისთვის დააწესოს პროგრამაზე მობილობის წესით დაშვების წინაპირობა:
  - ა) სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადასტურება (საჭიროების შემთხვევაში) ,, ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად;
  - ბ) შიდა მობილობის წესით პროგრამაზე განსაზღვრულ ადგილებზე კონკურსის შემთხვევაში დააწესოს გასაუბრება ან/და გამოცდა საგანში/საგანთა ჯგუფში.
9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოაცხადოს რიგგარეშე შიდა მობილობა, ამ წესის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში ან უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში.

### **მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი**

1. მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომელიც ამზადებს დასკვნას კრედიტების აღიარების შესაძლებლობის შესახებ. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს: პროგრამის ხელმძღვანელი/პროგრამის თანახელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და დარგის სპეციალისტი (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი). საჭიროების შემთხვევაში, გარდა ამ პუნქტით განსაზღვრული კომისიის შემადგენლობისა, კომისიას შესაძლებელია დაემატოს სხვა წევრი.
2. აღიარებას ექვემდებარება იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კრედიტების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და მიღებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად. თუ მიმღები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო

პროგრამით სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებულია განსხვავებული ECTS კრედიტი, აღიარება ხდება მიმღები პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული კრედიტის შესაბამისად.

4. არჩევითი თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში (საგანმანათლებლო პროგრამაში ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით. არჩევითი თავისუფალი კომპონენტის სრულად ათვისების შემდეგ აღიარების გარეშე დარჩენილი კრედიტები აისახება დიპლომის დანართში.

5. თუ მიმღები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს მეორე უცხო ენას, სტუდენტის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია შიდა გამოცდით განისაზღვროს ენის ცოდნის დონე, რის საფუძველზეც სტუდენტი სწავლას გააგრძელებს შესაბამისი დონიდან. განსხვავებული კრედიტები უფლებამოსილია დააგროვოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში თუ პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6. იმ შემთხვევაში, თუ მობილობის მსურველმა პირმა უნივერსიტეტს წარუდგინა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ არის შესრულებული ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისად, უნივერსიტეტის შესაბამისი დროებითი კომისია უფლებამოსილია მობილობის მსურველ პირს მოსთხოვოს ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი წარდგენა ან კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით და მოახდინოს გადაყვანა შემდეგი წესების დაცვით:

ა) თუ საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულია ასტრონომიულ საათებში, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (გარდა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისა) ცალკეული სასწავლო კურსის საერთო რაოდენობა მრავლდება 3-ზე და იყოფა ერთი კრედიტის ექვივალენტზე საათებში, ანუ 25-ზე. მაგ., თუ ასტრონომიულ საათებში საგნის დატვირთვა შეადგენს 60 საათს, ის მრავლდება 3-ზე და იყოფა 25-ზე:  $60 \times 3 / 25 = 7,2$ , დამრგვალებით შეესაბამება 7 კრედიტს, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში ცალკეული სასწავლო კურსის საერთო რაოდენობა მრავლდება 3-ზე და იყოფა ერთი კრედიტის ექვივალენტზე საათებში, ანუ 30 - ზე. მაგ., თუ ასტრონომიულ საათებში საგნის დატვირთვა შეადგენს 60 საათს, ის მრავლდება 3-ზე და იყოფა 30-ზე:  $60 \times 3 / 30 = 6$ . შეესაბამება 6 კრედიტს;

ბ) თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული შეფასება შეესაბამება 5-ქულიან შეფასების სისტემას, უნდა მოხდეს მისი გადაყვანა 100 - ქულიან შეფასების სისტემაზე შემდეგი პრინციპით:

შეფასება 5 – A - 95 ქულა;

შეფასება 4,5 - B – 85 ქულა;



შეფასება 4 – C - 75 ქულა;

შეფასება 3,5 – D – 65 ქულა;

შეფასება 3 – E – 55 ქულა.

ბ) ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან განსხვავებული შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში 100 ქულიან შეფასების სისტემაზე გადაყვანა განხორციელდება „ბ“ პუნქტით განსაზღვრული პრინციპის გათვალისწინებით (მიღებული შეფასების შესაბამისი დიაპაზონიდან საშუალო ქულის მინიჭებით).

გ) შეფასების „ჩათვალა“ 100 ქულიან შეფასებაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: განსხვავებული შეფასების სისტემით გამოცდებზე მიღებული შეფასებების 100 –ქულიანი შეფასების სისტემაზე მოდიფიცირების შედეგად მიღებული ქულების საერთო ჯამი (შეკრებილი რიცხვი), იყოფა შეკრებილი სასწავლო დისციპლინების რაოდენობაზე და მიღებული ქულა ჩაითვლება „ჩათვლით“ დამთავრებული სასწავლო კურსის შეფასების ეკვივალენტად. მაგ.  $81+91+71+71+91+81=486/6=81$  (B).

7. ქუთაისის უნივერსიტეტი უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევიტ შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის.

8. პროგრამების თავსებადობა აისახება შესაბამის დასკვნაში, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე, აღიარებული/თავსებადი კრედიტების რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია სტუდენტისათვის შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ.

9. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა გააგრძელოს შესაბამისი სემესტრიდან.

### **მუხლი 17. ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარება**

1. ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარება (შემდგომში – უმაღლესი განათლების აღიარება) გულისხმობს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ, რომლის სწავლის პერიოდი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ სრულად/ნაწილობრივ, მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენას სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან;

2. უმაღლესი განათლების აღიარების მიზნით, პირი მიმართავს სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წერილობითი განცხადებით, რომელსაც თან უნდა დაურთოს:



ა) ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასკვნა, რომლითაც დგინდება ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ სახელმწიფოს მხრიდან არალიარებული პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან (უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით);

ბ) ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დოკუმენტი/ცნობა ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლი ამ დაწესებულებაში პირის ჩარიცხვის, ასევე ამორიცხვის ან სწავლის დასრულების თაობაზე და სწავლის პერიოდში გავლილი საგნების ნუსხა, მათი კრედიტების ან/და შეფასებების მითითებით, რომლის საფუძველზეც განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ სახელმწიფოს მხრიდან არალიარებული პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა.

3. უმაღლესი განათლების აღიარების წინაპირობაა პირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. დაინტერესებული პირის განაცხადის წარმოებაში მიღების შემდეგ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს, რომლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის განმცხადებელს სურს უმაღლესი განათლების აღიარება, მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებული პირის განათლების აღიარების საკითხთან დაკავშირებით.

5. სტუდენტის მიმართვის საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გამოცდის ჩატარებას, რომლის მიზანია დადგინდეს, ფლობს თუ არა პირი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტით გათვალისწინებულ კომპეტენციას. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს გამოცდის მიმდინარეობის მონიტორინგი. უნივერსიტეტიდან მიღებული დასკვნის საფუძველზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას.

6. განათლების აღიარების მსურველის გამოცდის ჩატარების წესი და გამოცდის თემატიკა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

7. დაინტერესებულ მხარეს გამოცდის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ითხოვს გამოცდის უფრო მოკლე ვადაში ჩატარებას. გამოცდის ჩატარების შესახებ ასევე წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული ცენტრი.

8. განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებით განისაზღვრება განათლების რა ნაწილი იქნა მიჩნეული აღიარებულად.
9. კრედიტების აღიარების მიზნით ქუთაისის უნივერსიტეტი ადგენს პირის მიერ ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების თავსებადობას ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან;
10. კრედიტების აღიარების მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით მტკიცდება დროებითი კომისიის შემადგენლობა, კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს: პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და დარგის სპეციალისტი (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი). საჭიროების შემთხვევაში, გარდა ამ პუნქტით განსაზღვრული კომისიის შემადგენლობისა, კომისიას შესაძლებელია დაემატოს სხვა პერსონალის შემადგენლობა.
11. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალება შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს;
12. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით უნივერსიტეტი ვალდებულია ჩაუტაროს გამოცდა/გამოცდები შესაბამის სასწავლო კურს/კურსებში. გამოცდაზე/გამოცდებზე დადებითი შედეგის მიღწევის შემთხვევაში (50%-ს +1%) უნივერსიტეტი ადგენს თავსებადობას, რაზეც დგება შესაბამისი დასკვნა;
13. კომისიის დასკვნას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
14. კომისიის დასკვნა ეგზავნება სსიპ-განათლების ხარისხის გავითარების ეროვნულ ცენტრს, რის შემდეგაც ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე;
15. ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:
  - ა) აღიარებს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ მიღებულ უმაღლეს განათლებას;
  - ბ) უარს ამბობს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებაზე.
16. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა გააგრძელოს შესაბამისი სემესტრიდან.

## მუხლი 18. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქუთაისის უნივერსიტეტში ჩარიცხული პირი უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს წერილობითი განცხადებით ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ქუთაისის უნივერსიტეტში ჩარიცხულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით;
2. კრედიტების აღიარების მიზნით ქუთაისის უნივერსიტეტი ადგენს პირის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან;
3. კრედიტების აღიარების მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით მტკიცდება დროებითი კომისიის შემადგენლობა, კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს: პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და დარგის სპეციალისტი (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი). საჭიროების შემთხვევაში, გარდა ამ პუნქტით განსაზღვრული კომისიის შემადგენლობისა, კომისიას შესაძლებელია დამატოს სხვა პერსონალის შემადგენლობა.
4. სტუდენტი, რომელმაც განცხადებით მიმართა ქუთაისის უნივერსიტეტს ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით, ვალდებულია, წარმოადგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი-დიპლომი, დიპლომის დანართი ან სათანადოდ დამოწმებული ნიშნების ფურცელი და გავლილი სასწავლო კურსის/კურსების შინაარსი (სილაბუსი);
5. წარმოდგენილ დიპლომის დანართში ან სათანადო წესით დამოწმებულ ნიშნების ფურცელში უნდა იყოს მითითებული კონკრეტული უცხოური ენა, რომელიც გავლილი აქვს სტუდენტს;
6. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები;
7. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ამ კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;
8. კომისიის დასკვნას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. სხდომის მდივანს ევალება სხდომის ოქმის წარმოება. კრედიტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უმრავლესობით.
9. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს;

10. ქუთაისის უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ წესით დადგენილი პირობების გათვალისწინებით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

### **მუხლი 19. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება**

1. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად.

2. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე (აბიტურიენტებისათვის /სტუდენტებისათვის/ მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე) იღებს უნივერსიტეტი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და ამ წესის მე-16 მუხლის შესაბამისად.

### **მუხლი 20. სწავლის საფასური**

1. სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრულად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, გარდა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული განსხვავებული გადახდის წესისა. სტუდენტთან შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი.

2. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის არსებულ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში სემესტრის შესაბამისად

### **მუხლი 21. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა)**

1. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების, ცოდნის, უნარების და კომპეტენციების აღიარებას, ასევე სტუდენტთა მობილობის პროცესს.

2. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

3. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არის დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

### **მუხლი 22. სტუდენტის მიღწევების შეფასება**

1. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

2. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს (შუალედურ გამოცდას ან/და მიმდინარე სემესტრულ შეფასებას);

ბ) დასკვნითი გამოცდის / პროექტის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

3<sup>1</sup>. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი საბოლოო შეფასებაში. აღნიშნული რაოდენობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია გამოსახული იყოს პროცენტებში ან ქულებში.

4. დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის განმარტებული პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს საერთო შეფასების 40 %-ისა.

5. შეფასების სისტემა უშვებს:



ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი –91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი –81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი –71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა –40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

6. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში ან ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერ მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

7. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

8. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

9. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F (0 ქულა).

10. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

11. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით



გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

12. სტუდენტის დადებითი შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვრის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით, რომელიც უნდა შეადგენდეს 51 ქულას ან მეტს.

13. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრავს შემდეგ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს: შუალედური შეფასების 42% და დასკვნითი შეფასების 40%.<sup>4</sup>

14. უნივერსიტეტი მედიცინის ფაკულტეტზე შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრავს შემდეგ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს: შუალედური შეფასების 50% და დასკვნითი შეფასების 50%+1.

14<sup>1</sup>. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს ამ მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტებით დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნის შესაბამისად.

14<sup>2</sup>. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

15. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესი და მასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები დგინდება დოქტორანტურის დებულებით.

16. სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს შუალედური შეფასების წერით (სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული ტესტი, ესე/ესეი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, კაზუსის ამოხსნა/ქვიზი და სხვა.<sup>5</sup>) კომპონენტში მიღებული შეფასება. მიღებული შეფასების გაცნობიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს სასწავლო კურსის განმახორციელებელ

<sup>4</sup> უნივერსიტეტი დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრავს 50%+1 მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს, რომელიც ამოქმედდება 2020-2021 წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

<sup>5</sup> სტუდენტის მიერ შუალედურ და დასკვნით დამოცდებში მიღებული შეფასებების გასაჩივრების პროცედურა განისაზღვრება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესის“ შესაბამისად.

ლექტორს წერიითი ნაშრომის გაცნობისა და განხილვის მიზნით. თუ სტუდენტი ნაშრომის გაცნობის და განხილვის შემდეგ ჩათვლის, რომ მის მიერ შესრულებული ნაშრომი შეფასებულია არაობიექტურად, ის უფლებამოსილია ორი დღის ვადაში მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს წერილობითი განცხადებით მიღებული შეფასების გასაჩივრების თაობაზე. დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე რექტორის სამართლებრივი აქტით მტკიცდება სააპელაციო კომისიის შემადგენლობა. სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს: ა) დარგის სპეციალისტი აკადემიური პერსონალი; ბ) დარგის სპეციალისტი მოწვეული პერსონალი; გ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი; დ) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი; ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. სააპელაციო კომისიის დასკვნა საბოლოოა და აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც, თავის მხრივ, აუქმებს იქამდე არსებულ შეფასებას.

17. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია სტუდენტებს რეგულარულად მისცეს უკუკავშირი, სწავლის შედეგებზე/აკადემიურ მოსწრებაზე, აგრეთვე ძლიერი და სუსტი მხარეების, შედეგების გაუმჯობესების შესახებ. უკუკავშირის გაკეთება წარმოადგენს ე.წ. განმავითარებელ შეფასებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის.

### **მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა**

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები/კონცენტრაციები, სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/მოდულები/კონცენტრაციები.

2. არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია არიან უზრუნველყონ სტუდენტთა ინფორმირება სემესტრის დაწყებისთანავე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების შესახებ. სტუდენტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი/სავალდებულო სასწავლო კურსების გაცნობა და სარეგისტრაციო პერიოდში არჩევანის გაკეთება/დარეგისტრირება.

3. არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით უნივერსიტეტი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ არჩევითობას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით, რის საშუალებითაც სტუდენტები სასწავლო სემესტრის დასაწყისში ირჩევენ არჩევით სასწავლო კურსებს.

### **მუხლი 24. აკადემიური წელი, სემესტრი, კვირა**

1. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს. ერთი აკადემიური წელი მოიცავს 42 კვირას. საჭიროების

შემთხვევაში დასაშვებია განისაზღვროს დამატებითი სემესტრი/სემესტრები. უნივერსიტეტში აკადემიური წელი/სემესტრი განისაზღვრება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

2. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

3. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

4. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათს და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელ საათებს. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 30 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

5 საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

6 დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო.

7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.

8. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.

9. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შესაძლოა მოიცავდეს 30 (ECTS) კრედიტს.

10. სასწავლო კურსების სწავლების თავისებურებიდან გამომდინარე შესაძლებელია მათი სწავლება განხორციელდეს კურსის ფორმატით და სასწავლო პროცესის მიმდინარეობა აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

## **მუხლი 25. გამოცდების ჩატარების წესი**

გამოცდების ჩატარების და გამოცდაზე ქვევის წესები განისაზღვრება ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესის შესაბამისად.

## **მუხლი 26. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება**

1. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის შესაბამისი საფეხურისთვის პროგრამით დადგენილი კრედიტების მოპოვების შემდეგ სტუდენტს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი შესაბამისი დანართით. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მის სახელზე გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისი დიპლომი და დანართი.

2. უნივერსიტეტში შემუშავებულია ჩვეულებრივი და წარჩინების შესაბამისი ფორმების დიპლომები ამდენად, უნივერსიტეტი გასცემს ბაკალავრის, მაგისტრის ან დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციის დამადასტურებელ ორი კატეგორიის დიპლომს - წარჩინების და ჩვეულებრივს. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების კრედიტებთან შეწონილი საშუალო ქულის გამოთვლის შედეგად არანაკლებ 91 (ოთხმოცდათერთმეტი) ქულის დაგროვების შემთხვევაში, კურსდამთავრებულზე გაიცემა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი წარჩინების დიპლომი, ხოლო სხვა შემთხვევაში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ჩვეულებრივი დიპლომი.

3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების კრედიტებთან შეწონილი საშუალო ქულის გამოთვლის შედეგად არანაკლებ 90.5 ქულის დაგროვების შემთხვევაში, შედეგი მრგვალდება მეტობით."

## **მუხლი 27. კრედიტებთან შეწონილი საშუალო ქულა (GPA)**

1. კრედიტებთან შეწონილი საშუალო ქულა (GPA) გამოითვლება სტუდენტის მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში (სემესტრი, აკადემიური წელი) თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასებების შესაბამის კრედიტებთან შეწონილი საშუალო სიდიდის გამოთვლით.

2. სტუდენტის მიერ მიღებულ ქულათა კრედიტებთან შეწონილი საშუალო სიდიდე (GPA) გამოითვლება ყოველი სემესტრის, ასევე, ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, შესაბამის პერიოდში მიღებული შეფასებების საფუძველზე.

3. კრედიტებთან შეწონილი საშუალო ქულის (GPA) გამოთვლა ხდება როგორც 100 ქულიანი ისე 4 ქულიანი შეფასებების გამოყენებით. შეფასების 100 ქულიანი სისტემის 4 ქულიან შეფასებაზე გადასაყვანად 1 ქულა უტოლდება 0.04 ქულას (იხ. 100 ქულიანი შეფასებების 4 ქულიან შეფასებებზე გადაყვანის ცხრილი).

100 ქულიანი შეფასებების 4 ქულიან შეფასებებზე გადაყვანის ცხრილი(მაგალითისთვის წარმოდგენილია 90 ქულიდან 100 ქულამდე შეფასებების 4 ქულიან შეფასებაზე გადაყვანის შემთხვევები, გადაყვანის პრინციპი იგივეა სხვა შეფასებების შემთხვევაშიც)::

შეფასების 100 ქულიანი სისტემა	4 ქულიანი შეფასება
100	4.00
99	3.96
98	3.92
97	3.88
96	3.84
95	3.80
94	3.76
93	3.72
92	3.68
91	3.64
90	3.60

4. სტუდენტის GPA შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და მისი პროგრესის შესაფასებლად.

#### მუხლი 28. დასკვნითი დებულება

ამ წესის ძალაში შესვლის შემდეგ, მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩაითვალოს უნივერსიტეტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სხვაგვარად აწესრიგებენ ამ წესით გათვალისწინებულ ურთიერთობებს.